



INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF  
FREEDOM OF INFORMATION



Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების  
განვითარება საქართველოში

# ელექტრონული კომუნიკაციის განვითარება საქართველოში - ინტერნეტის ხელმისაწვდომობა

კვლევა მომზადდა პროექტის - „ელექტრონული ჩართულობის განვითარება  
საქართველოში“ - ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI), „პოსტსაბჭოთა  
კვლევების ცენტრთან“ (CPSS) ერთად, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI)  
პროგრამის - „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების  
განვითარების“ (G-PAC) - ფარგლებში. ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი  
ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო  
განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. კვლევა არ გამოხატავს USAID-ის ან ამერიკის  
შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

ავტორი: თეონა ტურაშვილი

რედაქტორი: ლევან ავალიშვილი

ივნისი, 2013

## შინაარსი

|                                                         |    |
|---------------------------------------------------------|----|
| ინტერნეტ მომხმარებელთა სტატისტიკა საქართველოში.....     | 2  |
| ინტერნეტიზაციის მნიშვნელობა საქართველოში .....          | 13 |
| ინტერნეტის გამოყენების ტენდენციები.....                 | 15 |
| IDFI-ის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები ..... | 20 |
| IDFI-ის გამოკითხვა პეტიციების შესახებ .....             | 29 |
| გამოკვეთილი ტენდენციები და დასკვნები .....              | 37 |


## ინტერნეტ მომხმარებელთა სტატისტიკა საქართველოში

თანამედროვე ტექნოლოგიებმა და ინტერნეტმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კომუნიკაცია გაამარტივა. დღეს მსოფლიოს მთავრობებმა აქტიურად დაიწყეს ინტერნეტის საშუალებით მოქალაქეებთან კომუნიკაციის დანერგვა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხელისუფლებების ანგარიშვალდებულების გასაზრდელად აქცენტი კეთდება მათი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. ინტერნეტ რესურსების ეფექტური გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივება, პირდაპირი კომუნიკაციის აგება, აზრთა ურთიერთგაცვლა და საბოლოო ჯამში, მთავრობის მეტი ღიაობის უზრუნველყოფა. მიუხედავად აღნიშნული დადებითი მხარეებისა, ამ ყველაფრის წინაპირობას ქვეყნის მასშტაბური ინტერნეტიზაცია და მასობრივი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დანერგილი ელ-საშუალებებით მოქალაქეების მხოლოდ შეზღუდული ნაწილი ისარგებლებს.


კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) 2012 წლის მონაცემების მიხედვით, წინა წელთან შედარებით გაზრდილია დედაქალაქსა და სოფლებში მაცხოვრებელთა რიცხვი, რომლებიც ინტერნეტს ყოველდღიურად იყენებენ. თუ 2011 წელს თბილისში ეს მაჩვენებელი 41%-ს შეადგენდა,<sup>1</sup> მომდევნო წელს იგი 46%-მდე გაიზარდა.<sup>2</sup> რაც შეეხება იგივე მონაცემებს სოფლების შემთხვევაში, 2011 წლის 4%-იანმა მაჩვენებელმა 7%-მდე მოიმატა. ქალაქებში კი მსგავსი მაჩვენებელი ორივე წელს 28% გახლდათ.

<sup>1</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - CRRC. (2012) "კავკასიის ბარომეტრი" <http://www.crrc.ge/oda/> 10.05.2013

<sup>2</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - CRRC. (2012) "კავკასიის ბარომეტრი" <http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/> 10.05.2013



წყარო: „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი,“ „კავკასიის ბარომეტრი 2012 - საქართველო“




წყარო: „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი,“ „კავკასიის ბარომეტრი 2012 - საქართველო“

საგულისხმოა კომუნიკაციის ეროვნული კომისიის (GNCC)-ის მიერ გამოქვეყნებული 2012 წლის მონაცემები. ანგარიშის მიხედვით, საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების მომხმარებელთა რაოდენობამ 2012 წლის ბოლოს 483,3 ათასი აბონენტი შეადგინა. 2011 წლის ბოლოსთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 27,4%-ით (103,9 ათასით) გაიზარდა. რაც შეეხება სადენიანი ფართოზოლოვანი (DSL და ოპტიკურ-ბოჭკოვანი) მომსახურების აბონენტთა რიცხვს, მათმა რაოდენობამ 2012 წლის ბოლოსთვის 392 ათასი შეადგინა. აბონენტების უდიდესი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი - 64,1%, ქუთაისში - 6,5%, ბათუმში - 6,3%, რუსთავში - 6,0%, ფოთში - 1,5%. დანარჩენ საქართველოში კი სულ 15,6%. ამავე დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ

Wifi მომსახურება ქვეყანაში ყველაზე დინამიურად განვითარებადი ტექნოლოგიაა. „იგი ძირითადად რეგიონებში ვითარდება, იქ, სადაც სადენიანი ინტერნეტი ნაკლებად არის ხელმისაწვდომი. ხუთ დიდ ქალაქში თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და ფოთში Wifi აბონენტების წილი მხოლოდ 6,2%-ს შეადგენს“ - ნათქვამია ანგარიშში.<sup>3</sup>


ამასთანავე, IDFI-იმ (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი) 12 აპრილს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. ინსტიტუტი სხვა ინფორმაციასთან ერთად, ითხოვდა 2012 წლის მდგომარეობით, სადენიანი და უსადენო ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობას რეგიონებისა და ქალაქების ჭრილში. მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით, გთავაზობთ იმ 10 ქალაქის მონაცემებს, გრაფიკის სახით, სადაც ყველაზე მეტი ინტერნეტმომხმარებელია დაფიქსირებული.



სადენიანი ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა თბილისში სხვა ქალაქებთან შედარებით გააცილებით მაღალია. შედარებით მოკრძობებული მაჩვენებლებით დედაქალაქს ჩამორჩებიან შემდეგი დიდი ქალაქები: ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი.


<sup>3</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. 2012 წლის ანგარიში.


[http://www.gncc.ge/files/3100\\_2949\\_681569\\_ANNUAL%20REPORT%202012.pdf](http://www.gncc.ge/files/3100_2949_681569_ANNUAL%20REPORT%202012.pdf) ბოლო ნახვა 03.06.2012



როგორც მიღებული მონაცემებიდან ირკვევა უსადენო ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობის კუთხით შემდეგი ქალაქები ლიდერობენ: ზუგდიდი, მარნეული. მათ მოჰყვებიან ქ. გორი, ქ. ბათუმი და ქ. სენაკი შედარებით განსხვავებული მაჩვენებლებით.

საინტერესოა, როგორ განაწილდა მაჩვენებლები რეგიონების მიხედვითაც.






საერთო ჯამში, საქართველოში სადენიანი ინტერნეტ აბონენტთა რაოდენობა 392 436, ხოლო უსადენო (Wifi) ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა 17 872 ადამიანს შეადგენს. საგულისხმოა სადენიანი ინტერნეტ აბონენტთა სტატისტიკა ტექნოლოგიურ კრილშიც. მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ DSL-ს 211 440 მომხმარებელი იყენებს, ოპტიკურ ინტერნეტს კი 180 640 აბონენტი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მოგვაწოდა ინფორმაცია ასევე, სადენიანი ინტერნეტ აბონენტების რაოდენობის შესახებ ავტორიზებული პირების კრილში. ამ მხრივ ლიდერობს სილქნეტი 199 736 აბონენტით, მას მოსდევს კავკასუს ონლაინი 121 842 მომხმარებლით, მესამე ადგილზეა ახალი ქსელები - 30 601 აბონენტით.

საინტერესოა მობილური ინტერნეტ აბონენტების შესახებ მოწოდებული ინფორმაციაც. მიღებული მონაცემების მიხედვით, მობილური ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა შემდეგია: 3G – 298 424 აბონენტი, სხვა - 1 043 301. აქედან რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 3G –ის აბონენტთა რაოდენობა, რადგან ეს ციფრი რეალურად ასახავს მობილური საშუალებებით ინტერნეტის რეგულარულად გამოყენების მაჩვენებელს.




### 2012 წლის მდგომარეობით მობილური ინტერნეტ აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით



მიღებული სტატისტიკური მონაცემებიდან აგრეთვე ირკვევა, რომ მობილური ოპერატორების აბონენტებიდან ყველაზე მეტი ინტერნეტ მომხმარებელი ჯეოსელს ჰყავს - 582 606 აბონენტი, მას მოსდევს მაგთიკომი - 380 822-იანი მაჩვენებლით, მობიტელის აბონენტთა შესაბამისი მაჩვენებელი 378 124 მომხმარებლით განისაზღვრა.

### 2012 წლის მდგომარეობით მობილური ინტერნეტ აბონენტების რაოდენობა ავტორიზებული პირების ჭრილში

■ მაგთიკომი ■ მობიტელი ■ სილქნეტი ■ ჯეოსელი




სფეროში არსებული ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების წარმოსაჩენად საინტერესოა იმ მიზეზების განსაზღვრა, რის გამოც საქართველოში მცირეა ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა. CRRC-ის მონაცემებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულის მთავარი გამომწვევი ფაქტორებია: მოქალაქეებისთვის ინტერნეტის ნაკლები საჭიროება (26,8%), კომპიუტერული ტექნიკის მაღალი ფასი (24,3%), ნაკლები დაინტერესება (18,6%) და ინტერნეტის გამოყენებისთვის საჭირო უნარების უქონლობა (11,7%). აღსანიშნავია, რომ საკმაო სხვაობა დაფიქსირდა კომპიუტერის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელთან დაკავშირებით სოფლებსა და თბილისში. კერძოდ, მაშინ როცა კომპიუტერული ტექნიკა თბილისის მოსახლეობის 17,4%-ს არ გააჩნია, ეს რიცხვი გაცილებით მაღალია რეგიონებში - 27,9%.<sup>4</sup>

---

<sup>4</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - CRRC. (2012) "კავკასიის ბარომეტრი" <http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/> 10.05.2013

რა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც არ სარგებლობთ ინტერნეტით?



|                                                                                              | დედაქალაქი | ქალაქი | სოფელი | საქართველო |
|----------------------------------------------------------------------------------------------|------------|--------|--------|------------|
| ■ არ მაქვს სატელეფონო ხაზი, ან მოდემი, ან სხვა ტექნიკური საშუალება, რომ შევიდე ინტერნეტში    | 4.8        | 7.8    | 10.9   | 8.6        |
| ■ არ ვიცი, როგორ უნდა გამოვიყენო ინტერნეტი                                                   | 11.5       | 12.5   | 11.1   | 11.7       |
| ■ არ მაინტერესებს/არ მინდა ინტერნეტის გამოყენება                                             | 23         | 17     | 17.9   | 18.6       |
| ■ ხელი არ მიმიწვდება კომპიუტერზე                                                             | 17.4       | 23.7   | 27.9   | 24.3       |
| ■ ვშიშობ, რომ ინტერნეტის გამოყენება საფრთხეს შეუქმნის ჩემი პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობას | 0          | 0.9    | 0.9    | 0.7        |
| ■ ინტერნეტი ძალიან ძვირია                                                                    | 2          | 1      | 1.6    | 1.5        |
| ■ ინტერნეტის სიჩქარე ჩემს დასახლებულ პუნქტში ძალიან დაბალია                                  | 0          | 0      | 0.3    | 0.1        |
| ■ არ მაქვს დრო                                                                               | 5.1        | 5      | 2.7    | 4          |
| ■ ინტერნეტი არის უგემოვნო და ამორალური                                                       | 0.9        | 0.7    | 0.6    | 0.7        |
| ■ მე არ მჭირდება ინტერნეტი                                                                   | 33.2       | 28.6   | 22.4   | 26.8       |
| ■ ჩემს დასახლებულ პუნქტში არ არის ინტერნეტი                                                  | 0          | 0.3    | 1.7    | 0.9        |
| ■ სხვა                                                                                       | 1.3        | 1.3    | 1.5    | 1.4        |
| ■ არ ვიცი                                                                                    | 0.5        | 0.2    | 0.2    | 0.3        |
| ■ უარი პასუხზე                                                                               | 0.1        | 0.8    | 0.3    | 0.4        |


საინტერესოა საქართველოში არსებული ინტერნეტ ჩართვის წერტილები. CRRC-ის მონაცემების მიხედვით, თბილისსა და ქალაქებში მცხოვრებ ინტერნეტ მომხმარებელთა უმეტესობა საკუთარ კომპიუტერს იყენებს ქსელში შესასვლელად (76% და 67% შესაბამისად). სოფლებში კი ამისთვის უმეტესწილად საკუთარ (32%) ან მეგობრის (28%) საშუალებებს იყენებენ. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქისა და ქალაქების მოსახლეობისგან განსხვავებით, სოფელში მცხოვრები მოსახლეობა ინტერნეტში შესასვლელად აქტიურად იყენებს შემდეგ საშუალებებს: მობილური ტელეფონი (16%), სამსახური (11%), ინტერნეტ კაფე (9%).<sup>5</sup>

როგორც ჩანს, საქართველოში ინტერნეტით სარგებლობას რამდენიმე დაბრკოლება გააჩნია, მათ შორის როგორც ტექნიკური (მაგალითად, ფართოზოლოვანი ინტერნეტ ქსელის გავრცელება), ასევე, სოციალური (ფინანსური პრობლემები), ინტერნეტის გამოყენების უნარებისა თუ სურვილის ნაკლებობა). საგულისხმოა, ასევე, რომ გაცილებით რთულადაა ვითარება რაიონებში. ამას ისიც ადასტურებს, რომ აქ დასახლებულთა 67%-ს არასდროს გამოუყენებია აღნიშნული ქსელი.<sup>6</sup>

<sup>5</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - CRRC. (2012) "კავკასიის ბარომეტრი" <http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/> 10.05.2013

<sup>6</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - CRRC. (2012) "კავკასიის ბარომეტრი" <http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/> 10.05.2013

IDFI: ელექტრონული კომუნიკაციის განვითარება საქართველოში - ინტერნეტის ხელმისაწვდომობა




წყარო: „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი,“ „კავკასიის ბარომეტრი 2012 - საქართველო“

### ინტერნეტიზაციის მნიშვნელობა საქართველოში


ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ხელს უწყობს მრავალფეროვანი და ალტერნატიული ინფორმაციის გავრცელებას. რაც თავის მხრივ აისახება მოქალაქეთა გააზრებულ პოლიტიკურ არჩევანზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით განვითარდება მოქალაქეების პოლიტიკური ჩართულობის მექანიზმები. მაგალითისთვის, საზოგადოების აქტიური წევრები ბოლო დროს უფროდაუფრო ხშირად ქმნიან ელექტრონულ პეტიციებს და ამით ცდილობენ საკუთარი ხმა მიაწოდონ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. შედეგად, მთავრობასთან ურთიერთობის ტრადიციულ ფორმებთან (შეხვედრები, მიღებები) ერთად, აქტუალური ხდება ინოვაციური (მათ შორის ელექტრონული - ელ-ფოსტა, ონლაინ პეტიცია, ონლაინ ჩეთი) საშუალებების დანერგვა და ათვისება.

ინტერნეტის მასობრივი გამოყენების საჭიროება მნიშვნელოვანია აგრეთვე საქართველოში მედიისადმი დაბალი ნდობის არსებობის პირობებშიც. იმავე გამოკითხვების მიხედვით, მოსახლეობის უმეტესობა (53,4%) უნდობლობას უცხადებს მედია საშუალებებს. გარდა ამისა, დაბალია ტელეჟურნალისტებისადმი ნდობაც - მოქალაქეების 29,1% ფიქრობს, რომ ისინი მაყურებელს კარგად ან საშუალოდ კარგად აწვდიან ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.<sup>7</sup>



<sup>7</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - CRRCC. (2012) "კავკასიის ბარომეტრი" <http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/> 10.05.2013

წყარო: „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი,“ „კავკასიის ბარომეტრი 2012 - საქართველო“



წყარო: „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი,“ „კავკასიის ბარომეტრი 2012 - საქართველო“

საზოგადოებაში მედიასაშუალებებისადმი არსებული უნდობლობის ფონზე პლურალისტული მედია გარემოს შესაქმნელად საჭიროა გაფართოვდეს თანამედროვე ტექნოლოგიებისადმი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით საქართველოს რაიონებსა და სოფლებში. მნიშვნელოვანია აგრეთვე იმ ფაქტორის გათვალისწინებაც, რომ საქართველოში აქტიურად ვითარდება სახელმწიფო ელექტრონული რესურსები (ვებ-გვერდები, ელ-ფოსტა, ანგარიში სოციალურ ქსელ Facebook-ში, სხვადასხვა ელექტრონული სერვისები, მონაცემთა ბაზები და ა.შ) რაც აჩენს შესაძლებლობას იმისა, რომ საზოგადოების ჯგუფებმა თუ ინდივიდებმა გამარტივებულად, ყოველგვარი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე, საკუთარი პრობლემები გაუზიარონ ხელისუფლებას და ჩაერთონ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების და დაგეგმვის პროცესში.

## ინტერნეტის გამოყენების ტენდენციები

ელექტრონული რესურსებით მოქალაქეთა აქტიურობისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად, აუცილებელია არსებობდეს ჩართულობის მზაობა თავად მოსახლეობაშიც. მოქალაქეები მნიშვნელოვნად უნდა მიიჩნევენ მთავრობასთან კონსტრუქციულ თანამშრომლობასა და საკუთარი გამოცდილების გაზიარებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საინტერესოა თუ რა ძირითადი აქტივობებით არიან დაკავებულნი ინტერნეტის მომხმარებელნი საქართველოში. გრაფიკიდან იკვეთება, რომ ყველაზე ხშირად მოქალაქეები იყენებენ სოციალურ ქსელებს, ეძებენ ინფორმაციას და აგზავნიან/იღებენ ელ-ფოსტას. თუმცა, ისინი ნაკლები სიხშირით აქტიურობენ ფორუმებზე და წერენ ბლოგებს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ინტერნეტ მომხმარებლები შესაძლოა უფრო ხშირად ინფორმაციის მიმღებები არიან და ნაკლებად ცდილობენ ინტერაქციასა და აზრთა ურთიერთგაცვლაზე ორიენტირებული საშუალებების გამოყენებას. ამის მიუხედავად, გამოკითხვიდან ჩანს, რომ მომხმარებლები გასართობ საშუალებებზე მეტად, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ სიახლეების გაგებას ანიჭებენ უპირატესობას.


მნიშვნელოვანია აგრეთვე სოციალური ქსელების მომხმარებელთა რიცხვის მაღალი რაოდენობა. საგულისხმოა, რომ საქართველოში ერთ-ერთი გავრცელებული სოციალური ქსელი Facebook-ია, Social Bakers-ის მიხედვით, დღეისათვის მას 1 მლნ 60 ათასი მომხმარებელი ჰყავს - ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 22,89%.<sup>8</sup> მართალია გასათვალისწინებელია ყალბი ანგარიშების ფაქტორი, მაგრამ სხვა წყაროებზე დაყრდნობითაც შეინიშნება Facebook-ის მომხმარებელთა ზრდის ტენდენცია ბოლო ერთი წლის მანძილზე. კერძოდ, სოციალური მედიის ანალიზის ვებ-გვერდის [www.quintly.com](http://www.quintly.com)-ის თანახმად, წინა წელთან შედარებით, 34,75%-ითაა გაზრდილი Facebook-ის აქტიურ მომხმარებელთა ოდენობა.<sup>9</sup>

<sup>8</sup> Social Bakers-ის ვებ-გვერდი - <http://www.checkfacebook.com/>, ბოლოს შემოწმებულია 05.06.2013

<sup>9</sup> სოციალური მედიის ანალიზის ვებ-გვერდი, Quintly - <http://www.quintly.com/facebook-country-statistics/georgia/?period=1year>, ბოლოს შემოწმებულია 05.06.2013



IDFI: ელექტრონული კომუნიკაციის განვითარება საქართველოში - ინტერნეტის ხელმისაწვდომობა



წყარო: „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი,“ „კავკასიის ბარომეტრი 2012 - საქართველო“


მოქალაქეების ჩართულობისადმი მზაობის კიდევ ერთ მაჩვენებლად გამოდგება ერთ-ერთი გამოკითხვის შედეგები, კითხვაზე: „რამდენად მოსალოდნელია, რომ მონაწილეობას მიიღებთ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ღონისძიებებში, რომელიც ცდილობს გაამახვილოს ხელისუფლების ყურადღება საქართველოში ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების პრობლემაზე?“ გაცემულმა პასუხებმა ცხადყო, რომ გამოკითხულთა მესამედი მზადაა ხელი მოაწეროს პეტიციას. თუმცა, მოსახლეობის შედარებით ფართო ნაწილი (36,2%) თავს შეიკავებდა ინიციატივის მხარდაჭერისგან. აღნიშნული მაჩვენებლები შესაძლოა იმითაცაა განპირობებული, რომ კითხვაში ფიგურირებს არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული ინიციატივა. სამწუხაროდ, როგორც ცნობილია, საქართველოში არასამთავრობო სექტორი ნდობის დაბალი ხარისხით გამოირჩევა - CRRC-ის 2012 წლის გამოკითხვის შედეგად არასამთავრობო მოსახლეობის მხოლოდ 18% ენდობა, 23% კი უნდობლობას უცხადებს მათ. მიუხედავად ამ ფაქტორისა, აშკარაა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ნაკლებ ინტერესს იჩენს ცალკეულ სამოქალაქო ინიციატივებში აქტიური მონაწილეობისგან.<sup>10</sup>

მოქალაქეების აქტიურობის ხარისხი და პოლიტიკური ჩართულობისადმი მზაობა მნიშვნელოვანად შეიძლება იყოს დაკავშირებული იმასთან, თუ რა დამოკიდებულება არის ჩამოყალიბებული სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი. 2012 წლის გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის უმეტესობა (61,3%) მთავრობას როგორც მშობელს ისე აღიქვამს. გამოკითხულთა მეოთხედზე ოდნავ მეტისთვის კი აღმასრულებელი ხელისუფლება დაქირავებულთან ასოცირდება (27,3%). ეს მონაცემები მეტყველებს საკმაოდ უარყოფით ტენდენციაზე - სავარაუდოდ, მოქალაქეების მხოლოდ მცირე ნაწილი მიიჩნევს მიზანშეწონილად მთავრობის ქმედებების კონტროლს, უმეტესობა კი მზადაა მისი პოლიტიკა უკრიტიკოდ მიიღოს.<sup>11</sup>


<sup>10</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - CRRC. (2012) "კავკასიის ბარომეტრი" <http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/> 10.05.2013

<sup>11</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - CRRC. (2012) "კავკასიის ბარომეტრი" <http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/> 10.05.2013

IDFI: ელექტრონული კომუნიკაციის განვითარება საქართველოში - ინტერნეტის ხელმისაწვდომობა



წყარო: „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი,“ „კავკასიის ბარომეტრი 2012 - საქართველო“





წყარო: „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი,“ „კავკასიის ბარომეტრი 2012 - საქართველო“

## IDFI-ის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები

პოლიტიკურ პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის კუთხით არსებული ტენდენციებისა და ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირებისთვის კვლევის ფარგლებში IDFI-იმ ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის მცირე ონლაინ გამოკითხვა. გამოკითხვის მთავარი მიზანი გახლდათ დადგენილიყო რამდენად ხშირად და რა მიზნით იყენებენ საქართველოში ინტერნეტის მომხმარებლები სოციალურ ქსელებს, რა საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით იღებენ მოქალაქეები ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და საჯარო დაწესებულებების საქმიანობის შესახებ. კვლევით ჯგუფს სურდა გაეგო ინტერნეტ მომხმარებელთა რამდენად დიდი ნაწილი გამოთქვამდა მზადყოფნას ონლაინ საშუალებებით ჩართულიყო პოლიტიკური დაგეგმვის პროცესში.

ონლაინ გამოკითხვაში სულ 315 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. მათი შერჩევა შემთხვევით, სოციალურ ქსელში გამოკითხვის ფორმის გავრცელების გზით, მოხდა. შესაძლოა მიღებული შედეგების განზოგადება გამოკითხვის მასშტაბიდან გამომდინარე შეუძლებელია, თუმცა ზოგადი ტენდენციის ჩვენება დასაშვებია. გამოკითხულთა ასაკობრივი განაწილება შემდეგია: 18-25 წლები - 60% (188), 26-35 წლები - 26% (83), 36-45 წლები - 8% (26), 46-55 წლები - 5% (17), მხოლოდ ერთი რესპონდენტი გახლდათ 56 წელს გადაცილებული. რესპონდენტთა გენდერული მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება: ქალი - 65% (205), კაცი - 35% (110).







ინტერნეტ საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობისა და დანიშნულების გასაგებად გამოკითხვაში შემდეგი კითხვები იყო შეტანილი:

1. როდის გამოიყენეთ ინტერნეტი პირველად?
2. ინტერნეტში ხშირად განხორციელებული მოქმედება (ჩამოთვლილი იყო ვარიანტები და შესაძლებელი იყო საკუთარი ალტერნატივის მითითებაც)
3. რა სიხშირით ეცნობით საქართველოს შესახებ არსებულ სიახლეებს ინტერნეტში?
4. ყოველკვირეულად რამდენ დროს ხარჯავთ სოციალურ ქსელებზე?
5. რისთვის იყენებთ სოციალურ ქსელებს?


პასუხებიდან გამოიკვეთა, რომ რესპოდენტთა 82%-მა ინტერნეტი პირველად 5 და მეტი წლის წინ გამოიყენა, 17%-მა კი 3-5 წლის წინ. როგორც ჩანს, გამოკითხულთა გარკვეულ ნაწილს ინტერნეტ მოხმარების საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება ჰქონდა.



საგულისხმოა მომხმარებლები ძირითადად რისთვის შედიან ინტერნეტ სივრცეში. ონლაინ გამოკითხვამ აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად სოციალურ ქსელებს იყენებენ - სულ 302 ხმა 315-დან. ინტერნეტ მომხმარებელთა დანარჩენი პრიორიტეტები შემდეგნაირად განაწილდა: ელ-ფოსტის მიღება/გაგზავნა - 278, ინფორმაციის მიღება/გავრცელება - 274, შემეცნება/გართობა - 253. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა დისკუსიაში მონაწილეობისა (86 რესპონდენტი) და ბლოგინგის (54 რესპონდენტი) ვარიანტებზე. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული კითხვა, საკუთარი მოსაზრების დაწერის შესაძლებლობას იძლეოდა, რამდენიმე რესპოდენტმა შემდეგი კომენტარებიც დააფიქსირა: ვიდეო თამაშები, სამეცნიერო კვლევა, სასწავლო მასალების გაცნობა, ინტერნეტით შეძენა. მონაცემებიდან გამომდინარე ცხადია, რომ ინტერნეტის გამოყენება ინტერაქციასა და პოლიტიკურ დისკუსიაში ჩართულობაზე ორიენტირებული მიზნებისთვის ყველაზე ნაკლებად ხდება.




როგორც უკვე აღინიშნა, რესპოდენტთა დიდი ნაწილი ინტერნეტს ინფორმაციის მისაღებად იყენებს (274). საგულისხმოა როგორია ინტერნეტ სივრცეში არსებული ინფორმაციის გაცნობის სიხშირე. აღმოჩნდა, რომ 77% ყოველდღიურად ადევნებს თვალყურს საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ ახალ ამბებს. ამ მიზნით არასდროს შესულა ინტერნეტში მხოლოდ 6 რესპოდენტი (2%). როგორც ჩანს, მომხმარებლის ძირითადი ნაწილისთვის ინტერნეტი ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.




კვლევითი ჯგუფისთვის საინტერესო იყო მოქალაქეების აქტიურობის სიხშირე და ფორმა სოციალურ ქსელებში. შედეგებმა ცხადყო, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი





(63%) 1-25 საათის განმავლობაში შედის სოციალურ ქსელებში ყოველკვირეულად. 20% კი ამავე მიზეზით მინიმუმ 36 საათს ხარჯავს მთელი კვირის მანძილზე. ყველაზე საინტერესო იყო გამოყენების ფორმა და ის თუ რისთვის ამოწმებს მომხმარებელი სოციალურ ქსელებს. რესპონდენტები, ინტერნეტის გამოყენების სტატისტიკის მსგავსად, სოციალურ ქსელებსაც ყველაზე აქტიურად ინფორმაციის მისაღებად და გასაზიარებლად იყენებენ (296). ოდნავ ნაკლები მომხმარებელი (262) სოციალურ ქსელებს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის დამყარების ერთ-ერთ საშუალებად აღიქვამს. გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტისთვის პრიორიტეტულია სამსახურებრივი აქტივობების ან პროდუქტების გაზიარება და საქმიანი ურთიერთობების დამყარება აღნიშნული ქსელის მეშვეობით.






გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართულობის კუთხით საკმაოდ დადებითი ტენდენციები დაფიქსირდა. გამოკითხულთა 83% მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია მოქალაქემ გამოხატოს საკუთარი აზრი სამთავრობო პროექტებისა და ინიციატივების შესახებ. 315 გამოკითხულიდან 248-მა მზადყოფნა გამოთქვა ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ დაგეგმვაში და მთავრობას გაუზიაროს საკუთარი პოზიცია სხვადასხვა პროექტებთან მიმართებაში. ამას მხოლოდ

რესპონდენტთა 7% არ დაეთანხმა. 3% კი პესიმისტურად იყო განწყობილი და მიიჩნევდა, რომ მის აქტიურობა აზრს მოკლებული იქნება.



ბოლოს, კვლევითი ჯგუფი დაინტერესდა თუ საიდან იღებენ რესპოდენტები ინფორმაციას საჯარო დაწესებულებებისა და მათი საქმიანობის შესახებ. შედეგებმა აჩვენა, რომ რესპოდენტთა დიდი უმრავლესობა (271) მთავარ წყაროდ ინტერნეტ და მედია საშუალებებს (პრესა, ტელევიზია, საინფორმაციო სააგენტო და ა.შ) განიხილავს. მას მოსდევს სოციალურ ქსელი, როგორც სამთავრობო ინსტიტუტების საქმიანობის გარშემო განვითარებული მოვლენების გაგების საშუალება (216). გამოკითხულთა ნახევარზე ნაკლები (130) ამ მიზნით საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებს იყენებს. მომხმარებელი მისთვის სასურველი ინფორმაციის მოძიებისას ყველაზე ნაკლებადაა (69) დამოკიდებული ნაცნობ საჯარო მოხელეებზე. ამ შემთხვევაში დადებითად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გამოკითხული მოქალაქეები მხოლოდ ნაცნობების მიერ მიწოდებული ცნობებით არ კმაყოფილდებიან და თავადაც ცდილობენ ინფორმაციის მოძიებას. თუმცა, შედეგებმა აჩვენა, რომ ისინი უფრო ხშირად იყენებენ არა პირველ წყაროს (იგულისხმება თავად საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი), არამედ სხვადასხვა მედია საშუალების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.



ინტერნეტ მომხმარებლების მცირე ონლაინ გამოკითხვამ შემდეგი ტენდენციები გამოამჟღავნა:


- გამოკითხულთა დიდი ნაწილი ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებს ინფორმაციის მისაღებად და გასავრცელებლად იყენებს;


## IDFI: ელექტრონული კომუნიკაციის განვითარება საქართველოში - ინტერნეტის ხელმისაწვდომობა

- მოქალაქეთა უმრავლესობამ გამოხატა მზადყოფნა მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება სამთავრობო ინიციატივებსა და პროექტებში;
- ინტერნეტის გამოყენება ინტერაქციასა და პოლიტიკურ დისკუსიაში ჩართულობაზე ორიენტირებული მიზნებისთვის (მაგალითად, დისკუსია, ბლოგინგი) ყველაზე ნაკლებად ხდება;
- ინტერნეტს გამოკითხულთა უმეტესობა სოციალურ ქსელებში აქტიურობისთვის იყენებს;
- რესპონდენტთა უმრავლესობა სოციალურ ქსელებს ყველაზე ხშირად ინფორმაციის მიღება-გაზიარებისა და მეგობრებთან/ოჯახის წევრებთან საკომუნიკაციოდ იყენებენ;
- გამოკითხულთა უმრავლესობა საჯარო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციას მედია საშუალებებისა და სოციალური ქსელების დახმარებით იღებს, მაშინ როცა ნაკლები აქცენტი კეთდება პირველ წყაროზე - თავად საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

### IDFI-ის გამოკითხვა პეტიციების შესახებ

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის სურვილისა და ამ მხრივ არსებული გამოწვევების უკეთ გასაანალიზებლად, კვლევითმა ჯგუფმა კიდევ ერთი ონლაინ გამოკითხვა ჩაატარა. შეკითხვები მთლიანად პეტიციებს ეხებოდა. გამოკითხვაში სულ 107 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. გამოკითხვის ნაკლები მასშტაბურობის მიუხედავად, შედეგების ანალიზი ამ მიმართულებით გარკვეულ სურათს მაინც გვიჩვენებს. გამოკითხულთა გენდერული განაწილება შემდეგი გახლდათ: ქალი - 58%, კაცი - 42%. მათი ასაკობრივი მაჩვენებელი კი შემდეგია: 18-25 წლები - 50%, 26-35 წლები - 35%, 36 - 45 წლები - 10%, 46 - 55 წლები - 5%, 56 წელზე მეტი - 1%.





გამოკითხვის შედეგების განხილვამდე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად რესპონდენტთა მცირე რაოდენობისა და ინტერნეტ მომხმარებელთა მხრიდან პეტიციების შესახებ გამოკითხვისადმი შედარებით ნაკლები ინტერესისა, ბოლო დროს შეინიშნება მსგავსი ინიციატივებისადმი საზოგადოების მზარდი ინტერესი. მაგალითისთვის, ბოლო დროს რამდენიმე საინიციატივო ჯგუფმა განსხვავებულ საკითხებზე რამდენიმე პეტიცია შექმნა, რომელთა უმეტესობა მთავრობისგან ცალკეულ პრობლემებზე გამოხმაურებას ითხოვდა:

1. ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ნიკოლოზ გილაურის Facebook გვერდზე მისი პრემიერობის დროს განთავსდა „ღია პეტიციების“ აპლიკაცია, სადაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინიციატივა გახლდათ „მოვითხოვთ მარიხუანას დეკრიმინალიზაციას“ (დღეისათვის 2 693 ხელმომწერი).
2. <http://www.change.org>-ზე გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორისადმი მიმართვის წერილი, რომლითაც ხელმომწერები რელიგიური მოსაზრებით ცხოველთა შეწირვის შეწყვეტას ითხოვდნენ (დღეისათვის 812 ხელმომწერი).
3. ამავე გვერდზე იყო განთავსებული პეტიცია სახელწოდებით: „Must Carry, Must Stay“, რომლითაც საქართველოს მოქალაქეები მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენელს, დუნია მიატოვიჩს საქართველოს მთავრობისთვის წინასაარჩევნოდ დაშვებული Must Carry-ის გასაგრძელებლად მკაფიო შეტყობინების გაგზავნისკენ მოუწოდებდნენ (დღეისათვის 26 301 ხელმომწერი).


4. საკმაოდ ინტენსიურად იყენებენ სოციალურად აქტიური ადამიანები ცალკეულ პრობლემასთან დაკავშირებით მხარდამჭერების მოსაპოვებლად ვებ-გვერდს – [www.petitions24.com](http://www.petitions24.com). მასზე ყველაზე წარმატებული გახლდათ წინასაარჩევნოდ შექმნილი პეტიცია „ეს ჩვენ გვებება! შეცვალეთ უსამართლო კანონმდებლობა!“ (დღეისათვის 506 ხელმომწერი).
5. სხვადასხვა პეტიციები შეიქმნა ვებ-გვერდზე – [www.gopetition.com](http://www.gopetition.com). მასზე განთავსებული ინიციატივებიდან შეიძლება დასახელდეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსადმი მიმართვა - „გაუქმდეს მშენებლობის ნებართვა და გამოცხადდეს კონურსი მხატვრის სახლის ადგილას“ (დღეისათვის 308 ხელმომწერი).
6. სხვადასხვა ინიციატივა თუ მიმართვა Google დოკუმენტის მეშვეობითაც გავრცელდა. ყველაზე დიდი გამოხმაურება ბოლო დროს 17 მაისის დღეს თბილისში ლგბტ აქტივისტებისთვის მსვლელობის ჩაშლას მოჰყვა. იდენტურ საკითხზე შეიქმნა ორი განსხვავებული პეტიცია. ერთი მხარის მოთხოვნა გახლდათ „ყველა მოძალადისა და ძალადობის წამქეზებლის კანონის მოთხოვნის შესაბამისად დასჯა“ (დღეისათვის 13 682 ხელმომწერი).

რაც შეეხება IDFI-ის ონლაინ გამოკითხვას, პეტიციების შესახებ ინტერნეტ მომხმარებლების ინფორმირებულობის, მათზე ხელის მოწერისა და ცალკეული პრობლემების შესახებ პეტიციების ინიცირებისადმი მზაობის დასადგენად მასში შემდეგი კითხვები იყო განთავსებული:


1. გაქვთ თუ არა ინფორმაცია რომელიმე პრობლემატურ საკითხზე ინიცირებული პეტიციის შესახებ?
2. მოგიწერიათ ხელი პეტიციაზე?
3. ყოფილხართ თუ არა რომელიმე პეტიციის ავტორი/ინიციატორი?

სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხულთა 64%-სთვის უცნობია რომელიმე პრობლემატურ საკითხზე შექმნილი პეტიციის შესახებ. დანარჩენი 36% კი აღნიშნულ ინფორმაციას ფლობს. ცხადია, რომ მოქალაქეების გარკვეული ნაწილისთვის ჯერ კიდევ უცნობია მოსახლეობის აქტივობისა და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის ამ კონკრეტული საშუალების შესახებ ინფორმაცია. ჩნდება ეჭვი, რომ ხშირ შემთხვევაში არასათანადოდ ხდება ცალკეული სამოქალაქო ინიციატივების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.





რაც შეეხება პეტიციების ხელმომწერთა რაოდენობრივ მონაცემებს, გამოკითხვამ აჩვენა, რომ 47%-ს არცერთ პეტიციაზე არ მოუწერია ხელი. 107 რესპონდენტიდან კი 31 მოქალაქეს მინიმუმ ერთხელ დაუფიქსირებია საკუთარი მხარდაჭერა ინიციატივის მიმართ, ერთზე მეტ პეტიციას კი მხოლოდ 26 ინტერნეტ მომხმარებელმა მოაწერა ხელი.




შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი ფლობს ინფორმაციას პეტიციების შესახებ და სხვადასხვა დროს მიუღია ინფორმაცია ინიცირებული მიმართვების შესახებ. თუმცა, მეორე შეკითხვაზე („მოგიწერიათ ხელი პეტიციაზე?“) გაცილებით მეტმა დააფიქსირა დადებითი პასუხი: 29%-ს ჰქონდა ხელი მოწერილი მინიმუმ ერთ, 24%-ს კი ერთზე მეტ პეტიციაზე. აშკარაა, რომ მეორე კითხვაზე თანხმობა ავტომატურად გულისხმობდა პირველზე დადებით პასუხსაც. თუმცა, მიღებული

შედეგები საპირისპიროზე მეტყველებს. ეს მიანიშნებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში რესპონდენტები ორაზროვან ან ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს სცემდნენ. ეს სხვადასხვა ფაქტორით შეიძლება აიხსნას, მათ შორის:

1. პირველი ვარაუდის მიხედვით, შესაძლოა ზოგიერთმა მოქალაქემ არასწორად აღიქვა პირველი კითხვა. შესაძლოა ნაწილმა ჩათვალა, რომ კითხვა ეხებოდა მიმდინარე პეტიციებს და იგი არ მოიცავდა ნებისმიერი ინიციატივის (განხორციელებული, დასრულებული თუ მიმდინარე) შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.
2. მეორე შემთხვევაში, შესაძლოა იმ რესპონდენტთა ნაწილი ვინც აღნიშნა, რომ ხელი აქვს მოწერილი ცალკეული პეტიციისთვის არ იყო გულწრფელი. ამ ეჭვს ამყარებს ის ფაქტიც, რომ დადებითი პასუხის შემთხვევაში, მათ უნდა დაესახელებინათ იმ ინიციატივის არსი, რომელსაც მათ თავის დროზე მხარი დაუჭირეს. იმ 57 გამოკითხულიდან, რომლებმაც დააფიქსირეს, რომ ხელი ჰქონდათ მოწერილი პეტიციაზე, მხოლოდ ოცმა დაასახელა მისი თემატიკა.


ნებისმიერ შემთხვევაში, ცხადია, რომ საკმაოდ დაბალია პირველ რიგში, მოქალაქეების გათვითცნობიერება და მეორე მხრივ, ჩართულობა პეტიციებთან მიმართებაში.

შემდეგი კითხვა ეხებოდა თბილისის მერიის ინიციატივას „ჩემი იდეა თბილისის მერს“. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 64% ფლობს ინფორმაციას აღნიშნული პროექტის ვებ-გვერდის შესახებ.





თუმცა, ყველაზე დაბალი შედეგები მივიღეთ კონკრეტული წინადადებების ინიცირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, გამოკითხვის მიხედვით, ჯამში, მხოლოდ 6


რესპონდენტი ყოფილა რომელიმე პეტიციის ავტორი - 5 გახლდათ მინიმუმ ერთი ინიციატივის ავტორი, ერთი კი ერთზე მეტი პეტიციის ინიციატორი. რესპონდენტთა დანარჩენ 94%-ს (101) არ შეუქმნია საკუთარი წინადადება ცალკეული პრობლემების გადასაწყვეტად.



რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივებს, ამ მხრივ საკმაოდ დამაიმედებელი შედეგები მივიღეთ. გამოკითხვამ აჩვენა, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, რესპონდენტთა 90% მზადაა ხელი მოაწეროს მნიშვნელოვან პრობლემაზე ინიცირებულ პეტიციას. აღსანიშნავია, რომ არცერთი გამოკითხულს არ დაუფიქსირებია უარყოფითი დამოკიდებულება ამ საშუალების წინააღმდეგ. პასუხის გაცემა გაუჭირდა მხოლოდ დანარჩენ 11%-ს. გამოკითხულთა 85%-მა გამოთქვა მზადყოფნა პეტიციის ინიცირებისთვის. მხოლოდ 2%-მა განაცხადა უარი საკუთარი იდეის წამოყენებაზე, 13%-ს კი პასუხის გაცემა გაუჭირდა. ცხადია, რომ ჩვენი რესპოდენტები პოზიტიურად შეხვდნენ მომავალში პეტიციების შექმნისა და მხარდაჭერის შესაძლებლობას. შედეგად, მათთვის პეტიციების არსის, დანიშნულების, ინიცირებისა და მთავრობისთვის მათი მიწოდების გზები უზრუნველყოფით, მოსალოდნელია მეტი პოლიტიკური აქტიურობა და ჩართულობა.



ამას ეხმიანება მათი დამოკიდებულება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. 93%-ის აზრით, მოსახლეობის პოლიტიკური ჩართულობა მნიშვნელოვანია, მხოლოდ 3%-მა მიიჩნია იგი უმნიშვნელოდ, 5%-ს კი გაუჭირდა ზუსტი პასუხის დაფიქსირება.



შეჯამებისთვის, მცირემასშტაბიანმა ონლაინ გამოკითხვამ შემდეგი შედეგები აჩვენა:

- რესპოდენტთა გარკვეული ნაწილისთვის ჯერ კიდევ უცნობია ინფორმაცია სხვადასხვა პეტიციების შესახებ;
- შედარებით დაბალია რესპოდენტთა აქტივობა და პეტიციებისთვის მხარდაჭერის დონე;
- რესპოდენტთა დიდი ნაწილი არასდროს ყოფილა რომელიმე პეტიციის ან სამოქალაქო ინიციატივის ავტორი;
- ამჟამად პეტიციების საშუალებით, სამოქალაქო პოზიციის გამოხატვის დაბალი სიხშირის/კულტურის მიუხედავად, რესპოდენტებმა გამოხატეს მზადყოფნა მომავალში მსგავსი ტიპის აქტივობისადმი. სავარაუდოდ, მათთვის ამ კუთხით დამატებითი ინფორმაციისა და საშუალებების უზრუნველყოფის შემთხვევაში, შესაძლებელია მათი ჩართულობისა და მონაწილეობის გაზრდა.

## გამოკვეთილი ტენდენციები და დასკვნები

IDFI-ის მიერ ინტერნეტით ჩატარებული გამოკითხვის შედეგები ძირითად ასპექტებში დაემთხვა საქართველოს მასშტაბით განხორციელებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს. მათი შეჯერებით შემდეგი დასკვნების გამოტანა შეიძლება:

- ყოველწლიურად ინტერნეტ მომხმარებელთა მზარდი ტენდენციის მიუხედავად, მოსახლეობის უმეტესობას ხელი არ მიუწვდება აღნიშნულ ქსელზე. განსაკუთრებით სერიოზული პრობლემებია საქართველოს რეგიონებში;
- საქართველოს მოსახლეობის ნაწილი ინტერნეტს ნაკლებად მნიშვნელოვან საკომუნიკაციო რესურსად მიიჩნევს, სხვებისთვის კი მასზე ხელმისაწვდომობის მთავარი დაბრკოლებებია: კომპიუტერის არქონა, საჭირო უნარების ნაკლებობა და ინტერნეტის სიმცირე. ქსელის გამოყენების პრობლემები გაცილებით მასშტაბურია რეგიონებში.
- კვლევებმა აჩვენა, რომ მომხმარებელთა უმეტესობა ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებს ძირითადად ინფორმაციის მიღებისათვის იყენებს, პრიორიტეტული არ არის ორმხრივი კომუნიკაცია და მოსაზრებების მკაფიოდ დაფიქსირება.
- დაბალია მოქალაქეების აქტიურობა პეტიციებისა და საკუთარი იდეების ინიცირების კუთხით. თუმცა, ინტერნეტ გამოკითხულთა უმეტესობამ (რესპონდენტების უმეტესობა სოციალურად აქტიური ადამიანები იყვნენ) მზადყოფნა გამოთქვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისთვის, ამისთვის საჭირო მექანიზმების დანერგვის შემთხვევაში.